

არჩილ სიხარულიძე, SIKHA foundation-ის დამფუძნებელი, მონაწილეობდა ცენტრალურ და სამხრეთ აზიას შორის კავშირების თემაზე გამართულ თერმეზის დიალოგში, რომელიც გაიმართა 19–21 მაისს უზბეკეთის ქალაქ თერმეზში. დიალოგის სახელწოდება “მშვიდობის, მეგობრობისა და კეთილდღეობის საერთო სივრცის შექმნა.”

ტრანსკრიპტი

ცენტრალური აზია და საქართველო ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში

ქალბატონებო და ბატონებო, დიდ მადლობას გიხდით მოწვევისთვის. ჩემი სახელია არჩილ სიხარულიძე, ვარ თბილისიდან, საქართველო. ვარ კვლევითი ინსტიტუტის — SIKHA foundation-ის — დამფუძნებელი, რომლის საქმიანობა ორიენტირებულია სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების განვითარებაზე და მოწინავე ტექნოლოგიების ინტეგრაციაზე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში.

დავუბრუნდეთ ჩვენი დიალოგის თემას — რეგიონალურ თანამშრომლობასა და თვითმმართველობის განვითარებას გარე ზემოქმედებისგან თავისუფალ პირობებში. მსურს გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება და დაკვირვება. ვფიქრობ უმეტესობამ კარგად იცის, რომ ბოლო ოცწლეულის განმავლობაში საქართველო მთლიანად დასავლურ ვექტორზე იყო ორიენტირებული. ქვეყანა საკუთარ მომავალს ხედავდა მხოლოდ NATO-სა და ევროკავშირში, რაც ფაქტობრივად გულისხმობდა დანარჩენი მსოფლიოს, როგორც ალტერნატიული განვითარების გზის უგულველყოფას და მრავალპოლარული წესრიგის ფორმირებაში მონაწილეობაზე უარს. კომუნიზმის ტოტალიტარული იდეოლოგიიდან, სადაც მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება არსებობდა — სოციალიზმის მშენებლობა — საქართველო გადავიდა იდეოლოგიური ტოტალიტარიზმის სხვა ფორმაზე — პრო-დასავლური ერთპოლარული მსოფლიოს აშენებაზე. ამ ტოტალიტარულ მსოფლმხედველობაში თბილისი ნებისმიერი საშუალებით უნდა გამხდარიყო ე.წ. "ცივილიზებული“ სამყაროს წევრი.

და სწორედ ამით ვპასუხობ ჩვენი კონფერენციის პირველ შეკითხვას: რა იყო საქართველოს შეცდომა? ნებისმიერ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ეძებდა დიდ მიზანს, საკუთარ ადგილს მსოფლიოში. ეს მიზანი გახდა - დასავლეთი. საქართველო ცდილობდა რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა არსებული გეოპოლიტიკური სივრცე, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ „ოკუპანტ“ რუსეთს, არამედ სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ აზიას, ჩინეთს და ინდოეთსაც კი. ქართული ელიტისთვის ისინი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდნენ მსოფლიო პოლიტიკაში. ჩამოყალიბდა მტკიცე ტენდენცია დანარჩენი მსოფლიოს დასავლეთთან შედარებით მეორეხარისხოვნად აღქმისკენ. სამწუხაროდ, ეს ხედვა დღემდე არსებობს.

თუ ვეცდებით საქართველოს საგარეო პოლიტიკის დახასიათებას ბოლო წლებში, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა განიხილებოდა ცალმხრივი პრო-დასავლური სამყაროს აშენების პროცესში ერთგვარ დამატებულ ძალას, დანამატს. სწორედ ამ კონტექსტში მონაწილეობდა თბილისი აქტიურად ე.წ. დემოკრატიულ სამშვიდობო მისიებში, მათ შორის ოპერაციებში ავღანეთსა და ერაყში. ცნობისთვის, საქართველო აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილს იკავებდა სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით.

თუმცა, დღეს საქართველოში მიმდინარეობს მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლა, რაც უკავშირდება რადიკალური პროდასავლური კურსიდან გადახრას. ჩამოიშალა მოდელი, რომელზეც ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკა იყო აგებული. ეს განპირობებული იმით, რომ მიუხედავად ძალისხმევისა და მსხვერპლისა, საქართველო ვერ გახდა NATO-ს წევრი და ვერ მიაღწია არსებით პროგრესს ევროპული ინტეგრაციის გზაზე. გაცემული დაპირება, რომ დასავლეთისთვის თავის დახრის შემთხვევაში გამოჩნდებოდა „სინათლე გვარის ბოლოს“ დაირღვა, ვერ შედგა.

ასევე აღსანიშნავია ე.წ. სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-სთან, რომელიც უბრალოდ პოლიტიკურ მხარდაჭერას გულისხმობდა და არ მოიცავდა რეალურ სტრატეგიულ ნაბიჯებს. კერძოდ, ქვეყნებს შორის არ პირდაპირი მიმოფრენას ჰქონდა ადგილი, არც უვიზო მიმოსვლას და არც თავისუფალ ვაჭრობას. სწორედ ამიტომ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ მარტივად შეაჩერა იგი, რომ დაესაჯა თბილისი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური ურჩობისთვის. შედეგად, მმართველ პარტიას „ქართულ ოცნებას“ მოუწია განვითარების და თანამშრომლობის განსხვავებული გზების ძიება.

ამ ძიების შედეგია პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხშირი ვიზიტები ცენტრალურ აზიის ქვეყნებში — ყაზახეთში, უზბეკეთსა და თურქმენეთში. მან მოკლე დროში მოინახულა უფრო მეტი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ვიდრე რომელიმე სხვა ქართველმა ლიდერმა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. სულ რაღაც ორი წლის წინ, საქართველოს პრემიერის ცენტრალური აზიით დაინტერესება თითქმის წარმოუდგენელი იყო.

გარდა ამისა, დასავლეთისგან რეალური პირდაპირი ინვესტიციების არარსებობის ფონზე, საქართველომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მეგაპროექტი ჩინელ ინვესტორებს გადასცა. ეს ყველაფერი მიუთითებს არა იმდენად იდეოლოგიურ შემობრუნება, რამდენადაც იმის აღიარებაზე, რომ დასავლეთი აღარ არის გლობალური პოლიტიკის ერთადერთი საკვანძო მოთამაშე. საქართველოს სჭირდება პარტნიორობა სხვა ქვეყნებთანაც. იმედი, რომ დასავლეთი დაფარავდა საქართველოს ყველა საჭიროებას - აღმოჩნდა იდეოლოგიურად მოტივირებული რეალობას მოწყვეტილი ზღაპარი.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს დაპირისპირება ორ იდეოლოგიას შორის. ერთ მხარეს არიან „რადიკალური ევროპულობის“ (“radical Europeanness”) მხარდამჭერები — ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ საქართველოს არ გააჩნია განვითარების სხვა გზა, მხოლოდ ევროპული და მხოლოდ ბრიუსელის გავლით უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფო ინტერესების გატარება. მეორე მხარეს არის მთავრობა, რომელიც, შესაძლოა როგორც პატრიოტული მოტივით, ასევე ხელისუფლების შენარჩუნების სურვილით, ავრცელებს „ქართველობის“ (Georgianness) იდეებს — ანუ, „ ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ“.

ამ მიდგომამ შემოიტანა ახალი მიმართულებები — ჩინეთი, ინდოეთი, ცენტრალური აზია. ადგილობრივი ელიტა იწყებს ტოტალიტარული პროდასავლური რიტორიკის მიტოვებას, ქვეყნის სუვერენიტეტისა და საკუთარი მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობის აღიარებით. ჩემი მონაწილეობაც დღევანდელ დიალოგში ასახავს სწორედ ამ კურსის განვითარების აუცილებლობას. საქართველო იყურება აზიისკენ და ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მდგრადი, პრაგმატული, კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკისთვის. დასავლეთის მიღმა მსოფლიო არსებობს და ის აქტიურად ვითარდება. ეს არ ნიშნავს ევროატლანტიკური ინტეგრაციის უარყოფას, არამედ ქართული იდეოლოგიურ ხედვაში მრავალმხრივი მიდგომების დანერგვას.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია თავდაპირველად იყო რეაქცია გეოპოლიტიკურ ვაკუუმსა და ინტერესთა კონფლიქტზე მოსკოვთან, და არა რელიგიური დოგმა. დღეს კი დასავლური ჰეგემონიის მიმართ ნებისმიერი კითხვის დასმაც კი იწვევს უკმაყოფილებას იმ დასავლურ ელიტაში, რომელმაც დიდი ხანია საქართველო საკუთარ გავლენის ზონად მიიჩნია. დონალდ ტრამპის, ანტი-ელიტარული ლიდერის, ხელისუფლებაში მოსვლამ დაანგრია ადრე არსებული „ძმობა“ ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის, დატოვა ევროკავშირი და საქართველო მარტო. ახალი ამერიკული ადმინისტრაცია, რომლისთვისაც სამხრეთ კავკასია პრიორიტეტი არ არის, ჯერჯერობით მხოლოდ აკვირდება და აანალიზებს სიტუაციას საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ, თბილისი ახლა მოლოდინშია: რა კურსს აირჩევს ვაშინგტონი — დადებს შეთანხმებას მოქმედ ხელისუფლებასთან თუ მხარს დაუჭერს ოპოზიციას?

როგორ დასრულდება ქართული საგა? თუ დონალდ ტრამპი საქართველოს „მწვანე შუქს“ მისცემს ცენტრალურ და სამხრეთ აზიასთან კავშირების გაღრმავებაზე, მრავალვექტორული და პრაგმატული პოლიტიკის კურსი გაგრძელდება. მაგრამ თუ თბილისს წაუყენებენ მკაცრ ულტიმატუმს, განსაკუთრებით ჩინეთთან თანამშრომლობის კონტექსტში, ქვეყანას მოუწევს გადაწყვიტოს — გაიღოს თუ არა მსხვერპლი დასავლეთის სასარგებლოდ. ევროკავშირთან ურთიერთობა გადადის ღრმა „ცივი ომის“ ფაზაში. საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად ევროპული ინსტიტუტები ცდილობენ სანქციების გამოყენებას პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად. ჯერჯერობით, უნგრეთისა და სლოვაკეთის წინააღმდეგობის წყალობით, საერთო ევროპული სანქციები არ დაწესებულა, მაგრამ რიგმა სახელმწიფოებმა უკვე შემოიღეს შეზღუდვები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების, მათ შორის პროკურორებისა და მოსამართლეების მიმართ.

მიზანია ხელისუფლების იძულებითი გადადგომა და ძალაუფლების გადაცემა იმ პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებიც მზად არიან ბრიუსელის გეოპოლიტიკურ დღის წესრიგს გაჰყვნენ: მოსკოვის სტრატეგიული დამარცხება და საქართველოს ჩართვა რუსეთთან კონფლიქტში, როგორც ეს უკრაინამ გააკეთა. მთავრობას აკრიტიკებენ „დემოკრატიის დაცვის“ ლოზუნგით, მაგრამ გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ საქართველოში ოდესმე ნამდვილი დემოკრატია არსებობდა ან რომ პროდასავლური ოპოზიცია ააშენებს სახელმწიფოს, სადაც ალტერნატიული ხედვები იქნება ნებადართული. ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომლებიც ასახავს ოპოზიციის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობას მასობრივ უფლებადარღვევებზე, თუმცა ისინი მაინც დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობენ.

დასასრულს, „ქართული ოცნების“ მთავრობა არ არის ყველაზე დემოკრატიული და თავისუფალი; ის მიდრეკილია კორუფციისა და შეცდომებისკენ, ძალაუფლების შენარჩუნების სურვილისკენ. თუმცა, იგი ამჟამად ყველაზე ადეკვატური და რეალისტურია, ვინაიდან იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ საქართველო უნდა გათავისუფლდეს არა მხოლოდ საბჭოთა წარსულისგან, არამედ ნებისმიერი ფორმის იდეოლოგიური ტოტალიტარიზმისგანაც. როგორც მმართველი პოლიტიკური ელიტა, ის

ცდილობს გააცნობიეროს და საზოგადოებასაც აცნობოს, რომ მთავარი ეროვნული ინტერესი არის არა იდეოლოგიური მითი დასავლური კურსის გარდაუვალობასთან დაკავშირებით, არამედ პრაგმატული, დაბალანსებული პოლიტიკა. ასეთი პოლიტიკა მოითხოვს აქტიურ თანამშრომლობას ცენტრალურ აზიასთან. თერმეზის დიალოგი არის პლატფორმა, რომელზეც თბილისს შეუძლია წარდგეს არა როგორც დასავლური მსოფლიოს ნაწილი, არამედ როგორც სუვერენული მოთამაშე საერთაშორისო ასპარეზზე.

SIKHA
foundation